



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

დამტკიცებულია
 სტუ-ს აკადემიური საბჭოს
 2014 წლის 16 ივლისი
 # 1234 დადგენილებით
მოდირიცირებულია
 სტუ-ს აკადემიური საბჭოს
 2017 წლის 21 აპრილის
 # 2393 დადგენილებით

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება

ეკონომიკა
Economics

ფაკულტეტი

საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of engineering economics, media technology and social sciences

პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები

პროფესორი ალექსანდრე სიჭინავა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

ეკონომიკის დოქტორი (Doctor of Economics) მიენიჭება საგანმანათლებლო პროგრამის არანაკლებ 180 კრედიტის შესრულების შემთხვევაში.

პროგრამის მოცულობა კრედიტებით

180 კრედიტი

სწავლების ენა

ქართული

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია ეკონომიკური მეცნიერების დარგში, შიდა და საერთაშორისო შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი, საერთაშორისო პრაქტიკასა და დემოკრატიულ ფასეულობებზე დაფუძნებული, უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნით აღჭურვილი მაღალკვალიფიციური პროფესიონალების მომზადება.

პროგრამა მოთხოვნიდა და აქტუალურია ინოვაციური კვლევის, სწავლების
მეთოდებისა და დარგის პრაქტიკული გაძლიერებისათვის.

პროგრამის აღწერა

პროგრამა შედგენილია ECTS სისტემით, 1 კრედიტი უდრის 27 საათს, რომელშიც იგულისხმება როგორც საკონსტაქტო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის საათები. კრედიტების განაწილება წარმოდგენილია სასწავლო გეგმაში. პროგრამა გრძელდება 3 წელი (6 სემესტრი) და მოიცავს 180 კრედიტს. სასწავლო კომპონენტი - 60 კრედიტი და კვლევითი კომპონენტი 120 კრედიტი.

პირველი წლის სასწავლო პროცესი (ორი სემესტრის 21-21 კვირა) გაწერილია შემდეგნაირად: ორი კვირა, კერძოდ VII და XIV კვირა შუალედური გამოცდები. ესე იგი სწავლება და ორი შუალედური შეფასება ხორციელდება 17 კვირის განმავლობაში (I-XVII კვირა). XVIII- დან XXI კვირის ჩათვლით ხორციელდება დასკვნითი და დამატებითი გამოცდები, (დამატებითი გამოცდები ტარდება მხოლოს დასკვნითი გამოცდიდან 5 დღის შედეგ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დოქტორანტმა ვერ მიიღო 51 ქულა, და საგანი არ ჩაეთვალა ჩაბარებულად, მაგრამ ამავე დროს აუცილებელია დაგროვილი ჰქონდეს 41 ქულა, რათა შეძლოს დამატებით გამოცდაზე გასვლა).

ამავე წელს დოქტორანტი ამზადებს ორი სადისერტაციო კვლევის პროექტს/პროსპექტუსს 1(10 კრედიტი) და სადისერტაციო კვლევის პროექტი/პროსპექტუსს 2 (20 კრედიტი).

პროსპექტუსი ფასდება დოქტორანტის ხელმძღვანელის მიერ 6 კომპონენტის საფუძველზე მაქსიმუმ 100 ქულით.

მეორე წლის სასწავლო პროცესი ეთმობა ორი თემატური სემინარის მომზადებას. თითოეული თემატური სემინარის კრედიტების მოცულობა არის 15. თემატური სემინარი ფასდება მაქსიმუმ 100 ქულით, ორი შუალედური (30+30) და დასკვნითი (40) ქულების ჯამით.

ამავე წელს დოქტორანტი ამზადებს ორ-თეორიულ/ექსპერიმენტულ კვლევას **კოლოკვიუმი-1** (15 კრედიტი) და თეორიული/ექსპერიმენტულ კვლევას **კოლოკვიუმი -2** (15 კრედიტი).

მესამე წლის სასწავლო პროცესი ეთმობა თეორიულ/ექსპერიმენტულ კვლევას **კოლოკვიუმი -3** (30 კრედიტი). **კოლოკვიუმი** ფასდება 6 კრიტერიუმის საფუძველზე. მაქსიმალური შეფასებაა 100 ქულა.

დისერტაციის დასრულება და დაცვა (30კრედიტი) ფასდება მაქსიმალური 100 ქულით. დისერტაციას და მის საჯარო დაცვას აფასებს 7-9 კაცისაგან შემდგარი სადისერტაციო კოლეგია. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები და მათი შეფასების წესი იხილეთ შემდეგ მისამართზე:

http://gtu.ge/pdf/danarTi_3_Sefasebis_wesi_2.pdf

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

ეკონომიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს მაგისტრის ან მასთან

გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც სტუ-ში არსებული წესის შესაბამისად აკმაყოფილებს დოქტორანტურაში ჩარიცხვის მოთხოვნებს.

ეკონომიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

ეკონომიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.

ეკონომიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისას მხედველობაში მიიღება:

სამეცნიერო პუბლიკაციების არსებობა;

- სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა;
- სასწავლო/კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა საბუთები და მასალები (სერტიფიკატები, სიგელები და ა.შ.).

დოქტორანტობის კანდიდატი გასაუბრებას გადის საფაკულტეტო დროებით კომისიასთან.

ეკონომიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის კანდიდატს მოეთხოვება უცხოური ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი. ამასთან, უცხოური ენის B2 დონეზე ცოდნის სერტიფიკატის წარდგენისგან თავისუფლდება პირი, რომელსაც ბაკალავრიატის, მაგისტრატურის ან დოქტორანტურის კურსი გავლილი და დასრულებული აქვს უცხოურ ენაზე.

სხვა შემთხვევაში, ჩარიცხვის კანდიდატი აბარებს გამოცდას უცხოურ ენაში (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული, ესპანური, იტალიური).

უცხო ენის B2 დონეზე ცოდნის განმარტება „ევროპაში ენობრივი კომპეტენციის შემფასებელთა ასოციაციის“, ALTE–ს (Association of Language Testers in Europe) მიხედვით
www.alte.org

ALTE B2 – მესამე დონე (აკადემიური სფერო)

მესამე დონე ითვლება გაწაფულობის საშუალო დონედ. ენის ამ დონეზე მცოდნეს უკვე უნდა შეეძლოს, თავი გაართვას ენის ძირითად სტრუქტურას და გამოიყენოს სხვადასხვა სიტუაციის შესაბამისი კომუნიკაციის სტრატეგიები. იგი ფლობს ფართო ლექსიკას. მოსმენისას და კითხვისას იგი სცილდება ფაქტობრივი ინფორმაციის ცალკეული პუნქტების გაგებას, შეუძლია განასხვავოს ძირითადი და მეორეხარისხოვანი საკითხები, ტექსტის ზოგადი თემა და სპეციფიკური დეტალები. სხვადასხვა ტიპის ტექსტის წერისას მას უნდა შეეძლოს როგორც არგუმენტის ჩამოყალიბება, ასევე მოვლენების აღწერა და თხრობა. ენის ამ დონეზე მცოდნეს გარკვეულწილად თავისუფლად შეუძლია სხვადასხვა კონტექსტში ენის გამოყენება. მას განვითარებული აქვს მეტი მოქნილობა და უნარი, რომ შეეძლოს მოულოდნელ სიტუაციაში რეაგირება და ნაკლებად ეყრდნობა ენის უცვლელ ნიმუშებსა და მოკლე ფრაზებს. იგი უკვე კარგად ხვდება, როგორ უნდა დაიცვას ზრდილობის ის ნორმები, რომლებიც ენობრივად არის განსაზღვრული და როგორ უნდა ისაუბროს ოფიციალურ სიტუაციაში. B2 დონის გამოცდა გამოიყენება იმის დასამტკიცებლად, რომ ამ დონეზე ენის მცოდნე მზად არის შეასრულოს საოფისე სამუშაო და გაიაროს არაკადემიური კურსი იმ ენაზე, რომელსაც სწავლობს (მაგალითად იმ ქვეყანაში, სადაც ამ ენაზე ლაპარაკობენ). ამ

დონეზე ენის მცოდნეს უნდა შეემლოს ენის გამოყენება სამოხელეო, სამდივნო და მენეჯრის პოზიციებზე და ზოგ ინდუსტრიაში, განსაკუთრებით ტურიზმში.

საუბარი: სწავლისას, ენის ამ დონეზე მცოდნეს შეუძლია დასვას შეკითხვები ლექციაზე ან პრეზენტაციისას მისთვის ნაცნობ ან პროგნოზირებად თემაზე, თუმცა გარკვეული სირთულეებით. მას შეუძლია მონაწილეობა მიიღოს სემინარსა და წვრთნებში, თუმცა ისევ და ისევ გარკვეული სირთულეებით.

წერა: ენის ამ დონეზე მცოდნეს შეუძლია შეზღუდული გამოყენებისათვის ან შემდგომი გადამუშავების

მიზნით ჩაიწეროს შენიშვნები ლექციებსა და სემინარებზე, თუმცა დამატებითი დროის უქონლობის შემთხვევაში შეექმნება სირთულეები. მას შეუძლია ამოიწეროს შენიშვნები წერილობითი წყაროებიდან, თუმცა შეიძლება გამორჩეს მთავარი საკითხები. მას შეუძლია დაწეროს ესსე, რომელშიც გადმოსცემს თავის აზრს, ან დაწეროს ექპერიმენტის ანგარიში, რომელშიც ნაჩვენებია იქნება შესრულებული სამუშაოს ძირითადი შინაარსი.

კითხვა: მისი კითხვის უნარი აღემატება ყოველდღიური წერილებისა და ძირითადი საგაზეთო/ჟურნალის სტატიების გაგების უნარს. მას შეუძლია გაეცნოს მისთვის განსაკუთრებულად საინტერესო ფაქტობრივ ინფორმაციას და საკუთარი გემოვნებით შერჩეულ მხატვრულ ლიტერატურას. მას შეუძლია თავი გაართვას მცირე მოცულობის მოხსენებებსა და სტატიებს პროგნოზირებად თემებზე და გაიგოს მისთვის ნაკლებად ცნობილ თემაზე სტატიის ან მოხსენების ზოგადი შინაარსი, თუმცა ინფორმაციის ბუნდოვნად გამოხატვის შემთხვევაში არასწორად გაგებაა მოსალოდნელი. ამ დონეზე ენის მცოდნე არის ენაში საკმარისად გაწაფული იმისათვის, რომ დასძლიოს არაკადემიური ტრენინგები, რომლებიც სასწავლო ენაზე ტარდება. ამ დონეზე ენის მცოდნეს შეუძლია დაძლიოს ლექციის, პრეზენტაციის მასალა მისთვის ნაცნობ სფეროში ან იმ შემთხვევაში, როცა კონტექსტს კარგად იცნობს, თუმცა შეიძლება შეექმნას სირთულეები აბსტრაქტული არგუმენტაციის გაგებისას. მას შეუძლია წაიკითხოს მარტივი სახელმძღვანელოები და სტატიები, თუმცა არც ისე სწრაფად, რომ დასძლიოს აკადემიური კურსი.

მოსმენა: სწავლისას, მას შეუძლია გაიგოს მისთვის ნაცნობ თემაზე ლექციის ზოგადი შინაარსი.

სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები (ზოგადი და დარგობრივი)

ცოდნა და გაცნობიერება

- იცის განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების გამოცდილება და აცნობიერებს, როგორი უნდა იყოს სახელმწიფოს როლი ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის საქმეში, იმ პრობლემების დაძლევაში, რომელიც ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლას უშლის ხელს;
- აქვს ღია ეკონომიკისათვის IS-LM მოდელის მოდიფიციური ვარიანტის, ანუ მანდელ-ფლემინგის მოდელის მეცნიერული ცოდნა;
- გაცნობიერებული აქვს კვლევის რელევანტური მეთოდოლოგიის და მეთოდიკის

სრულყოფილი ცოდნის აუცილებლობა კვლევითი პროექტების დამოუკიდებლად წარმართვის ან ხელმძღვანელობისთვის.

- იცის გრძელვადიან პერიოდში მაკროეკონომიკური პოლიტიკის შემუშავების თავისებურებები;
- გაცნობიერებული აქვს თანამედროვე პირობებში საქართველოს ეკონომიკის განვითარების პრობლემები;
- იცის სამეცნიერო ნაშრომის შექმნის მეთოდები, ხერხები და სწავლების თანამედროვე ფორმები.
- არსებული ცოდნის ხელახალი გააზრებისა და ნაწილობრივ გადაფასების გზით აცნობიერებს ცოდნის განახლების ფარგლებს

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

- შეუძლია ეკონომიკური მეცნიერების კვლევის ყველა ძირითადი მეთოდის, პროფესიულ დონეზე ფლობის საფუძველზე დასახოს ეკონომიკური პრობლემის გადაჭრის გზები;
- დასახოს კომპლექსური ღონისძიებები მაკროეკონომიკური საკითხების რეგულირებისათვის;
- მიიღოს ოპტიმალური გადაწყვეტილებები თეორიული კონცეფციებისა და მიდგომების გამოყენებით;
- გადაჭრას პრაქტიკული პრობლემები მულტიდისციპლინური მიდგომებით;
- მოიძიოს და ჩამოაყალიბოს ეკონომიკური პრობლემების გადაჭრის ახალი მიდგომები;
- გაითვალისწინოს განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების გამოცდილება და გამოიყენოს ის პრაქტიკული პრობლემების დაძლევაში, რომელიც ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლას უშლის ხელს;
- შეუძლია კომპლექსური კვლევითი პროექტის შემუშავება და თავისი უშუალო ხელმძღვანელობით მისი განხორციელება;
- შეუძლია ოპტიმალურად გადაანაწილოს არა მხოლოდ თავისი, ასევე დიდი კვლევითი ჯგუფის/კოლექტივის დრო, გაანაწილოს ფუნქციები, უხელმძღვანელოს ჯგუფის მუშაობას და დასახოს კვლევითი ჯგუფის ყველა წევრის კონკრეტული ამოცანები და პრიორიტეტები;
- აქვს ღია ეკონომიკის მოდელების (მცირე და დიდი ქვეყნისათვის) და ღია ეკონომიკაში მაკროეკონომიკური პოლიტიკის ეფექტების შესახებ შეძენილი ფუნდამენტური ცოდნის პრაქტიკული რეალიზაციის უნარი;
- შეუძლია სოციალურ-ეკონომიკური გადაწყვეტილებების შემუშავებაში მონაწილეობა.
- აქვს სწავლების თანამედროვე მეთოდების ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი;
- შეუძლია სამეცნიერო კვლევის ორგანიზება, დაგეგმვა და პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავება;
- აქვს პრაქტიკული საქმიანობის პროცესში გადაწყვეტილებების მიღებისას ინსტიტუციური ეკონომიკის კვლევის მეთოდოლოგიური დებულებების პრაქტიკაში გამოყენების უნარი.

დასკვნის უნარი

- შეუძლია რთული პრობლემების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრის გზებისა და ხერხების შესახებ სათანადო დასკვნების გაკეთება;
- აქვს უნარი მიიღოს სწორი და ეფექტიანი დასკვნა, საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს დამატებითი რესურსები და შეიმუშაოს ახალი მეთოდოლოგია.
- შეუძლია ღია ეკონომიკაში მიმდინარე მაკროეკონომიკურ პროცესებსა და კანონზომიერებებს შორის არსებული მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა;
- აქვს ღია ეკონომიკის პირობებში ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტების კვლევისა და განსაზღვრის უნარი;
- შეუძლია მაკროეკონომიკური პოლიტიკის ცალკეულ სფეროებში კონკრეტული სიტუაციებისა და პრობლემების ანალიზი და შეფასება;

- აქვს ინსტიტუციური ეკონომიკური პროცესებისა და მოვლენების სიღრმისეული ანალიზის, შეფასებისა და დასკვნის უნარი;
- შეუძლია სათანადოდ დასაბუთებული და არგუმენტირებული დასკვნების დამოუკიდებლად ჩამოყალიბება და კლასიფიცირება;
- აქვს ღია ეკონომიკის მაკროეკონომიკურ პრობლემებსა და მოვლენებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენის, ღია ეკონომიკის მოდელებისა და მაკროეკონომიკური პოლიტიკის მოკლე და გრძელვადიანი ეფექტების შეფასების უნარი;
- შეუძლია პრობლემების დაყენება, გადაჭრა და სათანადო დასკვნის გაკეთება;
- აქვს კვლევაზე დაფუძნებული, სათანადოდ დასაბუთებული და არგუმენტირებული დასკვნების ჩამოყალიბების უნარი;
- აქვს სპეციფიკური დარგობრივ-პრაქტიკული ამოცანების გადაჭრის მიზნით შემუშავებული ღონისძიებების შეფასების უნარი.

კომუნიკაციის უნარი

- საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებზე, კონფერენციებსა და სემინარებზე გამოსვლისას ფლობს ოპრატორული ხელოვნების უნარს, ასევე შეუძლია თემატურ პოლემიკაში ჩართვა მშობლიურ და უცხოურ ენებზე;
- აქვს მეცნიერული წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი.

სწავლის უნარი

- შეუძლია აირჩიოს თანამედროვე კვლევის მეთოდოლოგია და ეფექტურად გამოიყენოს კვლევის პროცესში;
- შეუძლია უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე, ახალი იდეების განვითარება, აქვს ახალი ცოდნის მიღებისათვის მზაობის უნარი;
- შეუძლია საკუთარი ახალი მეცნიერული იდეების გენერირება;
- აქვს კვლევის სფეროში სხვადასხვა თეორიების და კონცეფციების შედარების და სწავლის შემდგომი გაღრმავების აუცილებლობის დადგენის უნარი;
- სრულფასოვანი, მასშტაბური პროექტის დამოუკიდებლად შემუშავების და სხვისთვის სწავლების უნარი.

ღირებულებები

- საუნივერსიტეტო გარემოში მუშაობა უყალიბებს თანამედროვე დემოკრატიული ღირებულებებისადმი ერთგულებას, მათ ეროვნულ რეალობაში დამკვიდრების სურვილსა და მზაობას;
- აქვს ახალ ღირებულებათა დასამკვიდრებლად ინოვაციური მეთოდების შემუშავების უნარი;
- შეუძლია ეკონომიკურ მეცნიერებებში ახალ ღირებულებათა დამკვიდრების გზების შემუშავება;
- სასწავლო და კვლევით გარემოში გამოიმუშავებს ისეთ პიროვნულ და პროფესიულ ფასეულობებს, რომელიც ეროვნული და საერთაშორისო საზოგადოებისათვის მისაღებ მაღალხნობრივ სტანდარტებს შეესაბამება.

სწავლის შედეგების მიღწევის ფორმები და მეთოდები

ლექცია პრაქტიკული სემინარი სამეცნიერო-თემატური სემინარი
 პრეზენტაცია კონსულტაცია დამოუკიდებელი მუშაობა კვლევითი კომპონენტი
 დისერტაციის გაფორმება დისერტაციის დაცვა

სწავლის პროცესში, კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლის შემდეგი მეთოდები:

1. ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი. ამ მეთოდს მიეკუთვნება ლექცია, თხრობა, საუბარი და სხვ. აღნიშნულ პროცესში პედაგოგი სიტყვების საშუალებით გადასცემს, ხსნის სასწავლო მასალას, ხოლო სტუდენტები მოსმენით, დამახსოვრებითა და გააზრებით მას აქტიურად აღიქვამენ და ითვისებენ.

2. დისკუსია/დებატები – ინტერაქტიური სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს მსჯელობისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

3. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) – მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღებისა და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს კონკრეტულ პრობლემას.

4. ევრისტიკული მეთოდი – ეფუძნება სტუდენტების წინაშე დასმული ამოცანების ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს ამოცანა სწავლების პროცესში ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებითა და მათ შორის კავშირების ჩვენების გზით ხორციელდება.

5. შემთხვევების შესწავლა (Case study) – პროფესორი სტუდენტებთან ერთად ლექციაზე განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს და ისინი ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან მოცემულ საკითხს (მაგ., ქეისების განხილვა).

6. გონებრივი იერიში (Brain storming) – ეს მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია განსხვავებული აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და მისი გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი განაპირობებს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. ეს მეთოდი ეფექტურია სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედგება რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:

- პრობლემის/საკითხის განსაზღვრა შემოქმედებითი კუთხით;
- დროის გარკვეულ მონაკვეთში აუდიტორიისაგან საკითხის ირგვლივ არსებული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად, დაფაზე);
- შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად;
- შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით;
- გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტ შესაბამისობას ავლენს დასმულ საკითხთან;
- უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა.

7. ანალიზის მეთოდი – გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. ამით მარტივდება რთული პრობლემების შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.

8. ახსნა-განმარტებითი მეთოდი – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას, მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებითი განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

9. ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება – მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

10. წერიითი მუშაობის მეთოდი – გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის შესრულება და ა.შ.

აღნიშნული მეთოდები ერთმანეთს ავსებენ და ერთმანეთში გადადიან. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსში).

სტუდენტის ცოდნის შეფასება

სტუდენტის შეფასების მეთოდები პროგრამის თითოეულ კომპონენტში უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება შეფასების შედეგებით.

სასწავლო კომპონენტის შეფასება ხორციელდება ECTS შესაბამისად, 100 ქულიანი სისტემით. შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შეფასების ფორმების შესაბამისი მეთოდების, კრიტერიუმების და სკალების აღწერა მოცემულია სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში).

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი

კომპონენტი/კომპონენტების შეფასების სისტემა:

ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;

ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ

მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;

გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;

დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ

ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;

ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;

ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო;

ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

„ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს უფლება ეძლევა ერთი წლის განმავლობაში წარადგინოს

გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომი, ხოლო „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი

კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

დასაქმების სფერო

- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები;
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო;
- საკონსულტაციო და ანალიტიკური დაწესებულებები;
- მსხვილი კერძო ფირმები (იურიდიული პირები).

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსით.

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად სტუდენტებისთვის გამოიყენება უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი (დეტალური ინფორმაცია პროგრამას თან ერთვის). საინჟინრო ეკონომიკის დეპარტამენტის მიერ მზადდება და სტუ-ს გამომცემლობის მიერ გამოიცემა რეფერირებადი, საერთაშორისო ჟურნალი „ბიზნეს-ინჟინერინგი“.

საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია საინჟინრო ეკონომიკურ დეპარტამენტთან არსებული ეკონომიკური პროცესების მოდელირების ლაბორატორიით, უნივერსიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკა დოქტორანტებს უზრუნველყოფს ამ დარგის შესაბამისი ბეჭდური და სამეცნიერო ლიტერატურით, აგრეთვე ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებული ელექტრონული კატალოგით.

პროგრამას განახორციელებს ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის შემდეგი აკადემიური პერსონალი (CV-ები პროგრამას თან ერთვის):

1. **ალექსანდრე სიჭინავა** – პროფესორი, მიკრო-მაკრო ეკონომიკის, ეკონომიკური კვლევის მეთოდების, ინვესტიციების, უძრავი ქონების ეკონომიკის სპეციალისტი;
2. **გიორგი მალაშხია** – პროფესორი, მიკრო-მაკრო ეკონომიკის, ინსტიტუციური ეკონომიკის, მეტაეკონომიკის სპეციალისტი;
3. **რევაზ შენგელია** – პროფესორი, მიკრო-მაკრო ეკონომიკის, თანამედროვე ეკონომიკის, ეკონომიკური კვლევის მეთოდების სპეციალისტი;
4. **თემურ ჯაგოდნიშვილი** – პროფესორი, ლინგვისტიკის, ჟურნალისტიკის, ფოლკლორის სპეციალისტი.
5. **დალი სეხნიაშვილი** – პროფესორი, მიკრო-მაკრო ეკონომიკის, ცოდნის ეკონომიკის, ეკონომიკური კვლევის მეთოდების, ინტერნეტ ეკონომიკის სპეციალისტი;
6. **დემნა კვარაცხელია** – პროფესორი, ეკონომიკური თეორიის, მიკრო-მაკრო ეკონომიკის, ლია ეკონომიკის სპეციალისტი.

თანდართული სილაბსუების რაოდენობა: 8

საგანმანათლებლო პროგრამის სქემა

№	საგნის კოდი	სასწავლო და კვლევითი კომპონენტები	I წელი		II წელი		III წელი		სულ კრედიტები
			I სემესტრი	II სემესტრი	III სემესტრი	IV სემესტრი	V სემესტრი	VI სემესტრი	
		სასწავლო კომპონენტი	20	10	15	15			60
სავალდებულო საგნები									
1.	SCTTM12GA1	სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა და სწავლების თანამედროვე მეთოდები	5						
2.	MER0012GA1	ეკონომიკური კვლევის მეთოდები	5						
3.	OPE0012GA1	ღია ეკონომიკა	5						
4.	INSEC12GA1	ინსტიტუციური ეკონომიკა		5					
		პირველი თემატური სემინარი			15				
		მეორე თემატური სემინარი				15			
არჩევითი საგნები			5	5					
1.	ECSEC12GA1	ეკონომიკური უსაფრთხოება	5						
2.	MEC0012GA1-L	მეტაეკონომიკა	5						
3.	GERGD12GA1	გლობალური დინამიზმის თანამედროვე ეკონომიკური სინამდვილე		5					
4.	CRECC12GA1	კრეატიული ეკონომიკა		5					
		კვლევითი კომპონენტი	10	20	15	15	30	30	120
1	-	სადისერტაციო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი - 1	10						10
2.	-	სადისერტაციო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი - 2		20					20
3.	-	თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა/კოლოკვიუმი - 1			15				15
4.	-	თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა/კოლოკვიუმი - 2				15			15
5.	-	თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა/კოლოკვიუმი - 3					30		30
6.	-	დისერტაციის დასრულება, დაცვა						30	30
ECTS			30	30	30	30	30	30	180

კრედიტები	სასწავლო წელს	60	60	60	180
-----------	---------------	----	----	----	-----

სწავლის შედეგების რუკა

№	საგნის კოდი	საგანი	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
		სავალდებულო საგნები						
1	SCTTM12GA1	სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა და სწავლების თანამედროვე მეთოდები	X	X	X	X	X	X
2	MER0012GA1	ეკონომიკური კვლევის მეთოდები	X	X	X			X
3	OPE0012GA1	ინსტიტუციური ეკონომიკა	X	X	X			X
4	INSEC12GA1	ღია ეკონომიკა	X	X	X			X
	-	პირველი თემატური სემინარი	X	X	X	X	X	X
	-	მეორე თემატური სემინარი	X	X	X	X	X	X
		არჩევითი საგნები						
1	ECSEC12GA1	ეკონომიკური უსაფრთხოება	X	X	X			X
2	MEC0012GA1-L	მეტაეკონომიკა	X	X	X			X
3	GERGD12GA1	გლობალური დინამიზმის თანამედროვე ეკონომიკური სინამდვილე	X	X	X			X
4	CRECC12GA1	კრეატიული ეკონომიკა	X	X	X			X

პროგრამის სასწავლო გეგმა

№	საათები საგანი	ECTS კრედიტის საათი	ლექცია სემინარი (ჯგუფში მომსაზრებელი)	პრაქტიკული	ლაბორატორიუ	პრაქტიკა	საკურსო სამუშაო/პროექტი	შუალედური/და საბოლოო	დასკვნითი გამოცდა	დამოუკიდებელი მუშაობა
	სავალდებულო საგნები									
1.	SCTTM12GA1 სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა და სწავლების თანამედროვე მეთოდები	5/135	3/45					2	1	87
2.	MER0012GA1 ეკონომიკური კვლევის მეთოდები	5/135	3/45					2	1	87
3.	OPE0012GA1 ინსტიტუციური ეკონომიკა	5/135	3/45					2	1	87
4.	INSEC12 ღია ეკონომიკა	5/135	3/45					2	1	87

№	საათები საგანი	ECTS კრედიტი/საათი	ლექცია	სემინარი (ჯგუფში მონაწილეობა)	პრაქტიკული	ლაბორატორიუ	პრაქტიკა	საკურსო სამუშაო/პროექტი	შუალედური/დასაბოლოო	დასკვნითი გამოცდა	დამოუკიდებელი მუშაობა
	GA1										
		არჩევითი საგნები									
1.	ECSEC12 GA1	ეკონომიკური უსაფრთხოება	5/135	3/45					2	1	87
2.	MEC0012 GA1-L	მეტაეკონომიკა	5/135	3/45					2	1	87
3.	GERGD12 GA1	გლობალური დინამიზმის თანამედროვე ეკონომიკური სინამდვილე	5/135	3/45					2	1	87
4.	CRECC12 GA1	კრეატიული ეკონომიკა	5/135	3/45					2	1	87

პროგრამის ხელმძღვანელი

ალექსანდრე სიჭინავა

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის
სამსახურის უფროსი

ეკატერინე შაკიაშვილი

ფაკულტეტის დეკანის

ივანე ჯაგოდნიშვილი

მიღებულია

ბიზნეს-ინჟინერინგის
ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე, ოქმი N6
31.01.2015

მოდირებულია

საინჟინრო ეკონომიკის,
მედიატექნოლოგიებისა
და სოციალურ მეცნიერებათა
ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე
10.02.2017

ოქმი №4

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარის

შეთანხმებულია

სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის
სამსახურის ხელმძღვანელი

ივანე ჯაგოდნიშვილი

გიორგი ძიძიგური